ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132-6015

# ნიანგი

15
აგვისტო
1989

არ მწამს სიტყვა ცარიელი,

სათვალთმაქცო მძულს მე წერა!

საქმე, საქმე, მხოლოდ საქმე!

როცა ვხედავ, ეს — კი მჯერა!

აკაკი წერეთელი

გივი ჩხიკვიშვილი

# მკვლელი და მსხვერპლი

პამფლეტი

**საოცარ** გარემოცვაში ვცხოვრობთ. ელემენტარული ეთიკური ნორმების დაცვას ვინ ჩივის, როცა მკვლელი და მსხვერპლი ვერ გაგვირჩევია ერთმანეთისგან!.. ამასაც არ ვჯერდებით და განურჩეველი თავგამოდებით ვზრუნავთ, როგორც ბოროტმოქმედის, ასევე ეროვნული იდეალებისათვის თავდადებულის ხსოვნის უკვდავსაყოფად!..

განურჩეველს ვამბობთ, თორემ მკვლელი ყოველთვის უფრო მეტად იყო დაფასებული!.. ათეული წლები დაგვჭირდა, რომ ერთ დროს შერისხული მსხვერპლისთვისაც მიგვეგო პატივი!..

ასე დაიბადა აბსურდამდე მისული შეუსაბამობა. მკვლელისა და მსხვერპლის სახელები ერთ განზომილებაში მოექცა. ამ კურიოზული პარალელით არ შემოვიფარგლეთ და ისე გადავჯაჭვეთ მათი სახელები, რომ ერთმანეთისაგან ვერ დაგვიცილებია!..

საოცარია, მაგრამ ჩვენ აღარ გვიკვირს, რომ საქართველოს დედაქალაქის **ილია ჭავჭავაძის** სახელობის პროსპექტი **სერგო ორჯონიკიძის** რაიონის მთავარი მაგისტრალია. თბილისში **ილია ჭავჭავაძის** სახლ-მუზეუმიც კი **სერგო ორჯონიკიძის** ქუჩაზეა..

რა არის ეს?!— ფატალური დამთხვევა, თუ წინასწარგანზრახული, გამიზნული აქტი?! დაუფიქრებლობით გამოწვეული კურიოზი, თუ შეგნებულად მოფიქრებული ცინიზმი და ნიჰილიზმი?!

რაღა დაუძინებელი, მოსისხლე მტრის სახელწოდების რაიონი „შევურჩიეთ" ილიას პროსპექტს? შემთხვევითობით შეიძლება აიხსნას ამგვარი დამთხვევა?!

ჯერჯერობით თავი შევიკავოთ „სახელოვანი რევოლუციონერის" მიმართ სიტყვა მკვლელის ხმარებისგან და დაველოდოთ სამთავრობო კომისიის დასკვნებს. იმედი ვიქონიოთ, რომ XX საუკუნის დასაწყისში მომხდარ მკვლელობას XXI საუკუნეში მაინც მოეფინება შუქი!

სანამდე უნდა ვმალოთ მკვლელობის უშუალო მონაწილის „იმერლის" ვინაობა, რომელმაც თავში გამიზნული (სროლა უშეცდომო იცოდა) ტყვია არ აკმარა და წიხლები დაუშინა მკვდარ ერისკაცს?!..

**თუ ჭეშმარიტების დადგენის სურვილით ვხელმძღვანელობთ, რატომ იკრძალება საჯაროობის პერიოდში სამთავრობო კომისიის წევრის, საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორის ვახტანგ გურგენიძის მიერ მიკვლეული ყოველმხრივ დასაბუთებული დოკუმენტის გამოქვეყნება?**

**სერგო ორჯონიკიძემ** დიდი **ილიას** მკვლელობით აიღო „სტარტი" და საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფამდე მივიდა. ყოფილ თანამებრძოლებზეც აღმართა ხელი, როცა მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდა ანტიეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში. ამ ვითომ ინტერნაციონალისტმა ტერიტორიაც დაგვიქუცმაცა ავტონომიების სახით და ხელოვნურად შექმნილი ისეთი ბზარი გაგვიჩინა, რომელსაც უბოროტესი მტერიც ვერ მოისაზრებდა!...

თუ პარტიული მუნდირის რომელიმე დამცველს **ს. ორჯონიკიძის** ანტიეროვნულ პოლიტიკაში ეჭვი ეპარება, მაშინ **ვ. ი. ლენინის** შრომები მაინც გადაიკითხოს. **ვ. ი. ლენინი „გვიცავდა"** ვაი-ქართველების **(სტალინისა და ორჯონიკიძის)** „ველიკორუსულ დერჟიმორდობისაგან", თორემ ეროვნული გადაგვარება არ აგვცდებოდა!

ეროვნული იდეალებისათვის თავგანწირული მსხვერპლისა და ანტიქართული სულისკვეთების ჯალათ-ტერორისტის სახელები ერთად არ მოიხსენიება! ამაზე მეტი ისტორიული შეუსაბამობა, ეროვნული შეურაცხყოფა შეუძლებელია!

რა გვჭირს, საბოლოოდ დავყრუვდით და დავბრმავდით?! კიდევ კარგი, სულმნათი **ილია** ვერ შეიტყობს ჩვენგან მისი ასეთი „პატივისცემის" ამბავს, თორემ სამარეშიც ვერ მოისვენებს!..

ანდა რა მოასვენებს მთაწმინდის პანთეონში **ფილიპე მახარაძის** გვერდით დასაფლავებულს?! გვერდით იმ არაკაცისა, ვინც სიცოცხლის ბოლო წლები გაუმწარა გამუდმებული ცილისწამებითა და პროვოკაციებით!..

**„ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს. ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია".** — ასეთი კონცეფციის „სახელმწიფო მოღვაწე" არ შეიძლება ილიას არ დაპირისპირებოდა!

დაუპირისპირდა კიდეც და იდეოლოგიური ბრძოლით რომ ვერ მიაღწია ვერაფერს, ფიზიკური განადგურების მოთავედ, ინიციატორად მოგვევლინა. კლასობრივი ინტერესებით დაბრმავებული „მოაზროვნე და პუბლიცისტი" თავს უფლებას აძლევდა დავით აღმაშენებელი, თამარ დედოფალი, შოთა რუსთაველი გაეცამტვერებინა!.. ქართულ მწერლობაში იგი მხოლოდ დანიელ ჭონქაძეს სწყალობდა და ილიას ღვაწლს როგორღა შეაფასებდა?!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა უნდა ქართული კულტურისა და ისტორიის უარმყოფელს მთაწმინდის პანთეონში **ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის გვერდით?!**

**ილია ჭავჭავაძის** გვერდით მისი დასაფლავება ხომ საერთოდ ანომალიაა! **ფილიპე მახარაძე** იყო მახათის ველზე **ილიას** უკვდავი ქმნილებების დაწვის, ხალხის წინაშე მისი სურათის დაგლეჯის და ბოლოს მკვლელობის ორგანიზატორი!.. ეს ხომ მკვლელობის უშუალო მონაწილეებმაც აღიარეს?! ამ ბრალდებით **ფ. მახარაძეზე** საქმეც კი აღიძრა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, მაგრამ მკვლელობის ორგანიზატორის ვინაობა დღემდე ვერ გაგვიმხელია!..

ჟურნალი **„ნიშადური"** ჯერ კიდევ 1908 წლის 10 აპრილს წერდა: **„მომწიფდა ჟამი, რომ ნიღაბი ავხადოთ ხალხის ცრუ ბელადებს. დროა გაახილოს თვალი ჩვენმა ხალხმა და ახალგაზრდობამ! დროა გადაიძროს ლაჩრობის ჩადრი ჩვენმა ინტელიგენციამ და ზოგიერთმა გაზეთმაც! დროა აღვიჭურვოთ მოქალაქეობრივი გამბედაობით!..."**

ვაი, რომ ეს დრო არ დაგვიდგა! არც არასდროს დაგვიდგება, თუ ბოროტმოქმედს და მკვლელს სათანადოს არ მივუზღავთ, ლაჩრობის ლეჩაქს არ გადავიძრობთ და მოქალაქეობრივ გამბედაობას არ გამოვიჩენთ!

ს. **ორჯონიკიძემ და ფ. მახარაძემ** დიდი **ილიას** ცხედარიც [illegible] დაინდეს. უშუალო მკვლელმა ფიზიკურად შეურაცხყო, [illegible]კვლელობის ორგანიზატორმა მორალურად, უბრალო „ნაფო[illegible]დ" აღიარებული ერისკაცის დაკრძალვაზე მუშებს და გლე[illegible]ხებს დასწრებაც კი აუკრძალა, მათი თაოსნობით ათეული წლების განმავლობაში **ილიას** სახელს მხოლოდ საგინებლად თუ გაიხსენებდნენ საქართველოში. მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილე **გ. ბერბიჭაშვილი** იმდენად „გალაღდა", რომ **ილიას** მკვლელობაში მონაწილეობის საბაბით პერსონალური პენსიის გაზრდა მოითხოვა!..

**„მკვდრის ცოცხალზე გამყიდველი!"** მრავალრიცხოვან შეურაცხყოფათა შორის, ესეც აკადრა **ფ. მახარაძემ** უკვდავ **ილიას.** ამ „ეპითეტზე" განსაკუთრებული დაფიქრება გვმართებს, რადგან იგი უპირველესად ჩვენ, დღევანდელ ქართველობას გვეხება!

**ეს ჩვენ, ყველანი, ვყიდით მკვდარს ცოცხალზე, როცა მარქსიზმის ვულგარიზატორების, ანტიეროვნული მსოფლმხედველობის მკვლელების, ჯალათების „ისტორიული ღვაწლის უკვდავყოფას" ვურიგდებით!**

თუ სხვას აუგი წამოსცდა ჩვენზე ,თავს გამოვიდებთ. მცირეოდენ შეურაცხყოფაზეც კი უდიდესი აღშფოთებით დავირაზმებით, მაგრამ საკუთარ თავს ვაყენებთ უმძიმეს ეროვნულ შეურაცხყოფას, როცა უმეცრებით, უგუნურებით დაშვებული შეცდომების წინააღმდეგ ხმას არ ვიმაღლებთ!

არ შეიძლება **ილია ჭავჭავაძე და ფილიპე მახარაძე** ერთად განისვენებდნენ! თანაც სად? მთაწმინდის პანთეონში!.. დროა ერთხმად მოვითხოვოთ, რომ ილიას მკვლელობის ორგანიზატორისაგან განიწმინდოს ყველა ქართველისთვის წმიდათაწმიდა ადგილი!

დედაქალაქის **ს. ორჯონიკიძის** რაიონს სახელწოდება უნდა შეეცვალოს! შემაძრწუნებელია, მკვლელის „უკვდავსაყოფ" რაიონში მსხვერპლის სახელობის მთავარი მაგისტრალი!

ეს უპრეცედენტო ანომალიაა კაცობრიობის ისტორიაში და ერის ზნეობრივი დეგრადაციის სიმბოლოდ აღიქმება! თუ საბოლოოდ გადავგვარდით, ერისკაცის ძეგლის მახლობლად არაკაცის ძეგლის ატანა აღარ გვმართებს!

**სერგო ორჯონიკიძემ** არა მარტო ერისკაცი მოგვიკლა, არა-

მედ ყოველივე ეროვნული ხელყო!.. საქართველო დაჭრა და მოუშუშებელი ტკივილი, ღია წყლული გაუჩინა ერის მთლიან ორგანიზმს!.. ამ „დამსახურების“ დავიწყების უფლება არ გვაქვს!

**სერგო ორჯონიკიძეს** ღირსების სასამართლო უნდა მოუწყოს სრულიად საქართველომ. ახლა საკავშირო ჟურნალ-გაზეთები ბევრს წერენ სტალინზე საზოგადოებრივი სასამართლო პროცესის მოწყობის თაობაზე. მაგალითი ჩვენ ვუჩვენოთ. **სერგო ორჯონიკიძის** საზოგადოებრივი გასამართლება ეროვნული ჭრილობის შესახორცებლად, წყლულის განსაკურნებლად გამოვიყენოთ!

ჭუჭყიანი ლაქები მოვაცილოთ ეროვნულ ყოფას. განვწმინდოთ **ს. ორჯონიკიძისა და ფ. მახარაძის** ხსოვნის „უკვდავყოფისაგან“ მთლიანად საქართველო! — ამას ელემენტარული ეთიკური ნორმების დაცვა მოითხოვს ჩვენგან!

XX საუკუნის დასაწყისში მომხდარ მკვლელობას საუკუნის მინურულში მაინც მოვფინოთ შუქი! **ილია ჭავჭავაძის** მკვლელობას მარტო ვადით ნუ ვაქცევთ საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს ბოროტებად!

სამართლებრივ სახელმწიფოს ისე ვერ შევქმნიდ, თუ სამართალს პური არ ვაჭამეთ! საჯაროობა, დემოკრატია ჩვენც უნდა შეგვეხოს! უფლება აღარ გვაქვს, ბოროტმოქმედს და მსხვერპლს განურჩევლად მივაგოთ პატივი!

**ილია ჭავჭავაძის სახელი საქართველოში ეროვნული სიამაყის სიმბოლოა! ილია ჩვენი უწმინდესი ხატია! საქართველოში უკვდავი ილიას საქმემ, მისმა ეროვნულმა და ზოგადსაკაცობრიო იდეალებმა უნდა იცოცხლოს, თუ გვინდა, რომ ჭეშმარიტი გარდაქმნის ნათელმა ჩვენშიც შემოაღწიოს!**

ნახ. ფ. ახალაძისა

# „არის დემოკრატიაო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგა უფროსს ორმოს უთხრის, —
გასჩენია საქმე ბოროტს!
ის არ იცის, იმ ორმოში
ჩავარდება თვითონ ბოლოს!

მანამდე კი ასე ფიქრობს:
„ორმო ოდნავ ფართოაო,
რასაც მინდა, იმას გავთხრი, —
**არის დემოკრატიაო!“**

●

ენა მიაქვს „ქვემოთ“, „ზემოთ“
და უსმენენ აქაც, იქაც!..
დაუღლელი ჭორიკანა
ლამის ყვავად გადაიქცა!

ვეფხვზე ამბობს — ბუზიაო,
რწყილზე — შავი დათვიაო!..
„რასაც მინდა, იმას ვიტყვი, —
**არის დემოკრატიაო!“**

●

„მეცნიერი“ მეცნიერზე
წერს ვეება რეცენზიას!..
მასზე ფიქრობს, წიგნის ავტორს
მიაყენებს როგორ ზიანს!

ღვაწლმოსილზე, ნაჯაფარზე
თითხნის: „ნაღდი ბატიაო!..
რასაც მინდა, იმას დავწერ,—
**არის დემოკრატიაო!“**

●

სამსახურში გვიან მოდის,
აადუღებს სამჯერ ყავას,
ხან ქსოვს, ხანაც ჭრის და კერავს,
ხანაც მარგლავს ენით ყანას!.

ხანაც სძინავს!.. „ეს ქვეყანა,
ვინც ისვენებს, მათიაო!..
რასაც მინდა, იმას ვიზამ, —
**არის დემოკრატიაო!“**

●

ზის საწყობში, საქონელი
მისხალ-მისხალ „აწერია“,
დღესაც სჯერა: სამსახური
თევზსაჭერი ფაცერია!

ზიდავს, ზიდავს, როგორ ზიდავს!
„ასპარეზი ფართოაო!
რასაც მინდა, იმას ვიზამ, —
**არის დემოკრატიაო!“**

●

„გამარჯობას“ არ კადრულობს,
არც „ნახვამდის“ არ სჩვევია,
ცხვირაწეულ ამპარტავანს
სიამაყე გასჩენია!..

არც კითხვაზე გიპასუხებს,
სურს ნებაზე გატრიალოს!..
„მინდა — ვეტყვი ,მინდა — არა.
**არის დემოკრატიაო!“**

●

სამოცი წლის „ახალგაზრდა“
გაეყარა წვრილშვილ ოჯახს,
მისი აზრით, მომავალი
უფრო ნაირფერად მოჩანს.

შვილიშვილის ტოლს დაეძებს, —
ფიქრიაო, ნათიაო!.
„რასაც მინდა, იმას ვშვრები, —
**არის დემოკრატიაო!“**

●

რისი მაქსი, რისი „მინი“,
რის დეკოლტე, რისი მოდა,
რისი ძველი „გამახარე“,
„საიდანაც ქარი ქროდა“.

იცვამს, მაგრამ ტანსაცმელი
სხეულზე არ ატყვიაო!..
„რასაც მინდა, იმას ვიზამ, —
**არის დემოკრატიაო!“**

●

წერა-კითხვის უცოდინარს,
აბა, რაღად უნდა ქება?!
გადარია გატენილმა
ბალიშებმა, მუთაქებმა!..

ააშენა ცხრა სასახლე,
შვილს მიჰგვარა გადიაო!..
„რასაც მინდა, იმას ვიზამ, —
**არის დემოკრატიაო!“**

●

ერს გიგინებს მამაძაღლი,
ბევრს ბედავს და თავზე იღებს,
უფრო ხშირად მეგობრობის
ახალ-ახალს ირგებს ნიღბებს!..

უპასუხებ, მაინც გეტყვის:
„ორჯერ ორი ათიაო!—
ასე მჯერა, რა ვქნა, ძმაო, —
**არის დემოკრატიაო!“**

●

ასპარეზი დარჩენიათ
პეტრეს, პავლეს, კოტეს, რატის!..
მე „სპეკულანტს“ დავარქმევდი
ამდაგვარ კოოპერატივს!

ყიდულობენ და ყიდიან
(დახლზე ცეცხლი ანთიაო!),
მდიდრდებიან, ვღარიბდებით, —
**„არის დემოკრატიაო!“**

●

იდეებით ბევრზე ბევრით
ვუხათქუნებთ ზეცას თავებს,
ვაასკეცებთ სამომავლო
შედარებებს, ზედსართავებს!..

სოფელში კი უგლეხკაცოდ
ქველი თოხი აგდიაო!..
„სადაც მინდა, იქ ვიცხოვრებ, —
**არის დემოკრატიაო!“**

●

შეამცირეს აპარატი,
შტატი — ერთი მესამედით!..
გამოაკლეს, დაუმატეს,
გამოვიდა ორჯერ მეტი!..

ბოლოს ვერვინ გაიმეტეს, —
ცოდვააო, მადლიაო!..
რომ იმსჯელეს, დაადგინეს:
**„არის დემოკრატიაო!“**

●

არაქართულ სკოლას სწყალობს—
მომავალი ნათელია!
თუ ქართული ავიწყდება,
მუდამ ახსოვს, — **ქართველია!**

„ვიცი, „ვეპკისტკაოსანი“
რა სიმაგლედ ანტიაო!..
რასაც მინდა, იმას ვიზამ, —
**არის დემოკრატიაო!“**

●

ცოტა სიტყვა, ბევრი საქმე
დაგვამშვენებს მჯერა, უფრო!
ჯერ ვივარგოთ, მერე თავი
მოვიყაროთ სასაუბროდ!

უკუვაგდოთ ნიღბები და
„ზღვა სიმართლის“ მანტიაო!..
არ გვეყვიროს, ყველას
გვეგრძნოს —
**არის დემოკრატიაო!**

**ავთანდილ გურგენიძე**

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

უსიტყვოდ

# კონსულტაციები დამწყები კოოპერატორებისათვის

იუმორესკა

**იმდენი** კოოპერატივია საქართველოში, რამდენი სოკოც იზრდება ჭერათხევში. სოკოს წვიმა უნდა, კოოპერატივები კი გვალვაშიც მშვენივრად მრავლდებიან. წინ მიდის საქმე, კიდევ წინ წავა, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

იქნებ ფიქრობთ კოოპერატივის გახსნას? იდეას გთავაზობთ: გახსენით საპნის კოოპერატივი! რა დავარქვათ? ვიფიქროთ, ვთქვათ, „ჰიგიენა — უპირველეს ყოვლისა!“ ან „მოდი, ვიბანაოთ!“. ახლა არ მითხრათ, რა დროს საპონია, ერევანმა რალა აკეთოსო? იმუშავეთ თქვენც და ერევანმაც! კონკურენცია ხარისხის დედაა და არავითარ შემთხვევაში — განმეორების დედინაცვალი!

### რეცეპტი პირველი: კვერცხის საპონი

**კარგად** გათქვიფეთ კვერცხის გული (აღდგომის დღეებში გაგიჭირდებათ კვერცხის შოვნა, — გაითვალისწინეთ!). დაუმატეთ რამდენიმე წვეთი წყალი ან არაყი (შეიძლება ანნლის არაყიც). მოათავსეთ ყველაფერი ეს მართკუთხა ჭურჭელში ღა მზეზე დადგით! გახმება და მიიღება კვერცხის საპონი. კვერცხის საპონი ზოგიერთი საპონივით ლაყე როდია.

### რეცეპტი მეორე: ბატის ან იხვის ქონის საპონი

**აილეთ** ბატის ან იხვის ქონი (ბატი საერთოდ ქონსა და ჩაჩხს აგროვებს), ჩაასხით ქვაბში, დაუმატეთ წყალი და ადუღეთ! გაცივების შემდეგ ნახარში შეიკვრება. დაჭერით დანით! ამ საპონს შეიძლება დავარქვათ „იხბატი“. თუ ინდაურის ქონს იშოვით — საჭიროა სულ რაღაც 10 ინდაური (400-500 მანეთი), მაშინ მიიღება ექსტრა საპონი!

### რეცეპტი მესამე: კვახის საპონი

**აილეთ** თათრული კვახი. კვახივით გახეთქეთ. გამოაცალეთ გული (ახლა, საერთოდ, გული საჭირო არ არის!), დაჭერით ნვრილად. ადუღეთ. როცა ნახარში შესქელდება, ვაცივეთ და დაჭერით! საჭიროა ორი კვახი, ხუთი ლიტრა წყალი და ერთი კილოგრამი ცხიმი. კვახის საპონი სურნელოვანი და სასიამოვნოა. არც თონეში შემწვარი კვახია ურიგო, მაგრამ „ჰიგიენა — უპირველეს ყოვლისა!“.

**რეცეპტების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა:** საპონი მიიღება ყოჩივარდასაგან, კალა ბალახისაგან, ეს რეცეპტები აღებულია შუა საუკუნეების საქართველოს სინამდვილიდან. ძველი, რაც კარგია, კარგია. ჯერ კიდევ იშოვება კვერცხი, იხვი, ბატი, კვახი, ბალახები!.. ვთქვათ და ვერ იშოვეთ!— გული არ გაიტეხოთ! უფრო ხელსაყრელ და იოლ გზას მიგასწავლით: გაგიგონიათ ალბათ თავსაბანი მიწა (აყალო მიწასაც ეძახიან). თავსაბანი მიწა შესანიშნავი ბუნებრივი საპონია, თუ ამ მიწით თავს დაიბანთ, თმა ბუმბულივით გაგიხდებათ! ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებათ, რომ თითქოს ახლა დაიბადეთ!.. გამსუბუქდებით! თავსაბანი მიწა ბლომად მოიპოვება საქართველოში. შეგიძლიათ დაასორსოლავოთ, შეფუთოთ და ისე მიაწოდოთ მომხმარებელს! გახსენით აყალო მიწის კოოპერატივი! რა დავარქვათ კოოპერატივს? **„აყალო-აყალო“** („**დინამო**“-„**დინამოს**“ მოტივზე), ან **„ვასორსოლავოთ, ბიჭებო, ბიჭებო!“** შეგიძლიათ სხვა რომანტიკული სახელიც შეარჩიოთ! **(სხვათა შორის, სახელების კოოპერატივის გახსნაც ჭკუასთან ახლოა!).**

**ჩვენ იდეას არ ვყიდით! — ჩვენ გარდაქმნის მომხრენი ვართ!**

**ბეგლარ ნოზაძე**

ელგუჯა მერაბიშვილი

# ქაჯები

**ზეგმოგო** ორგანიზაციებში გასარეგისტრირებელი თუ გასაიმისებელი ყოველი საქმე, მოგახსენებთა, ქალაქდადი იმყოფა და ქალაქდადი მოაურდა.

არ ვიცი, გიმისაქნება როგორ ხდება, საქმის კანონიერი გარდაბესაბა კი თურმე პირველი ქალაქდის ხელიდან გაშვება სულ იოლია, ბოლო ქალაქდის ხელში ჩაგდებაა ძნელზე ძნელი.

**ქალაქდების მმართველებს** კანელაურსულ ენაზე **საქმის ნარმოება** ეწოდება, რაც ხშირად **ქალაქდებმანის, ქალაქდებში** ოვალსაჩვენებელ **ნერდგაიკეთებობის, განაპირის ,უეიოკერი რეზოლუციებით გაუფეფრაკების, პირში ჩალაგამოლების, კუკუმალილობისა** და არცოუ იმეცოთად **ფალანლუფუნის** საბუსაკ ლეგალობის, ეს იმისდა მიხედვით, თუ ვინ არის, რას ნარმოადგენს ის, ვინც საქმეს აწყობს. საქმე კი, თუ დამეთანხმებით, ურიკასაითასა: თუ ანვები, მიდის, თუ არადა — გაჩერებას ვინ ჩაკის, შეიძლება უკანაც დადგო

(დასაწყისი №№ 11, 12, 13, 14-ში).

ნახ. ე. ლომბიძისა

**ფსევდონოეს ცოლი:** ისე, კაცმა რომ თქვას, ჩემი ქმრის სახელის მინიჭება თვითმფრინავისათვის უფრო უპრიანი იქნებოდა, რაც არ უნდა იყოს ,მაინც ჰაერში დაიკარგა.

**ნოე VI: საზეიმო ცერემონიალზე თქვენ საპატიო სტუმრად იქნებით მოწვეული, თანამეგობრობის სამხედრო ატაშესთან ერთად!**

ბედნიერებისაგან ატირებული ფსევდონოეს ცოლი კაბინეტიდან გარბის.

**კარდინალი: ბატონო მინისტრო, სამშობლოს წინაშე ჯოზეფ შენირულს რა დამსახურება აქვს ,რომ ამხელა პატივი დასდეთ?**

**ნოე VI: მისი სახელი პირველად გავიგე. მიუძღვის თუ არა დამსახურება განწირულს, ახლა ეს არ არის მთავარი, მთავარი დიდი სახელმწიფო წარმომადგენელთან ურთიერთობა არ გაგვემწვანებინა, ხოლო, რაც შეეხება კრეისერს, იგი პირველივე ბრძოლაში ჩაიძირება, ასეა გათვალისწინებული სტრატეგიული გეგმით!** (რეკავს ტელეფონი, ყურმილს იღებს ნოე VI) **რაა? ჩვენი მოწინააღმდეგის მოკავშირეებმა დესანტი გადმოსხეს სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე? ჩვენი ჯარები ტოვებენ დაკავებულ პოზიციებს? ვბრძანებ..,**

გიორგი ხელს ჩაიქნევს; ტოვებს კაბინეტს.

### სურათი მერვე

სცენა წარმოადგენს პარლამენტის წრიულ დარბაზს, რომელიც სავსეა ხალხით. აქ არის ყველა ნოე, ისინი სხედან და მათ წინ არის წარწერები ნოე I, ნოე II, ნოე III და ა. შ. მარცხენა კუთხეში ერთი სექტორის ნაცვლად დგას აკვარიუმი, რომელშიც ხალხია. იქ დგას სავარძლები. აქ სხედან სერიოზული და ინტელიგენტურობის გამომეტყველების ადამიანები, უმრავლესობა ევროპულადაა ჩაცმული, ზოგიც ჩოხა-ახალუხშია გამოწყობილი. აკვარიუმს დიდი ასოებით აწერია „ოპოზიცია“, მის გვერდით დგას ფირნიში წარწერით — „არ მიეკაროთ — სასიკვდილოა!“, ან „ხელს ნუ ახლებთ (ჩაყოფთ) — საშიშია!“ ოპოზიციონერთა შორის ზის გიორგიც. აკვარიუმის სადარაჯოდ დგანან გვარდიელები.

განცალკევებულ სათავმჯდომარეო სკამზე ზის ნოე VII, ტაძრის გუმბათი წარმოადგენს 100 000 000 ბონის იმიტაციას ნოე პირველის პორტრეტით.

**ნოე VII: ბატონებო! ჩვენი სამშობლოს ავტორიტეტი მთელს დედამიწაზე დღითი დღე იზრდება. ამჟამად ჩვენ გვემხრობა და გვიცნობს პროგრესული მსოფლიოს დიდი ნაწილი. რაც ცხადია, უპირველეს ყოვლისა, პატივცემული და საყვარელი ბელადის, სახალხო მოძრაობის დიდი მარშლის, ბატონ ნოე პირველის თავდაუზოგავი მეცადინეობისა და ამ საქმეში მისი პირადი წვლილის დამსახურებაა. მინდა სასიხარულო ცნობა მოგაწოდოთ. ამ ზაფხულს ჩვენს ზღვისპირა კურორტზე ისვენებდა შორეულ აღმოსავლეთში მობინადრე ტომის მაო-მაოს ბელადის მეორე ცოლი (გვარს არ ვასახელებთ), რომელთანაც პირადი საქმიანი კონტაქტი დაამყარა ჩვენი მთავრობის პრემიერ მინისტრმა (გვარს არ ვასახელებთ) და აი შედეგიც: გუშინწინ მივიღეთ ცნობა, რომ მაო-მაოს ტომმა დე-იურედ სცნო ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა. ხოლო გუშინ ჩვენს მთებში ზამთრის შვებულების გასატარებლად ჩამობრძანებულმა ბანტუსტანის ქალთა ემანსიპაციის კონგრესის პრეზიდენტმა (გვარს არ ვასახელებთ) პატივცემულ და საყვარელ ბელადს, სახალხო აჯანყების დიდ მარშალს (გვარს არ ვასახელებთ) უწოდა — „მუქურა, რომელსაც იმედის თვალით შესცქერის მთელი მსოფლიოს გზასაცდენილი და დაჩაგრული ქალობრიობა“. ქალობრიობა კი, მოგეხსენებათ, კაცობრიობის უდიდესი ნაწილია. ახლა კი, საზეიმოდ ვაღებ სხდომას და ისტორიული სიტყვის სათქმელად ტრიბუნასთან ვიწვევ პატივცემულ და საყვარელ ბელადს, სახალხო მოძრაობის დიდ მარშალს, ბატონ ნოე პირველს.**

ოვაცია. ნოე I მომღიმარი დგება, მის მკერდს ამშვენებს ოცამდე სხვადასხვა ორდენი. იგი თამამად მიდის ტრიბუნასთან. მისი პარტიის წევრები ესვრიან ყვავილებს. ოპოზიციონერები რაღაცას ყვირიან პროტესტის ნიშნად, როგორც მათი პირის მოძრაობით ჩანს, მაგრამ არაფერი არ ისმის.

**ნოე I** (ტაშის გრიალში ადის ტრიბუნაზე. მარჯვნივ მსხდომ თანაპარტიელებს ელეგანტურად დაუქნევს თავს და ხელს ასწევს დარბაზის დასამშვიდებლად. იმწამსვე სრული სიჩუმე ჩამოწვება. ნოე I მრავალმნიშვნელოვნად ასწევს თითს და იტყვის თხრობითი კილოთი): ა (ტაში), ბ (ტაში), გ (ტაში) დ (ტაში), ორატორი ირონიული ინტონაციით იკითხავს ე? (მხურვალე ტაში). ორატორი ხელის ენერგიული მოძრაობით ბლუსათვის შესაძლებელი სხაპასხუპით მიაყრის) **ვ, ზ, თ, ი!** (ისთან მკვეთრი ძახილის ნიშანი, მქუხარე ტაში, ორატორი მაგიდას მუშტს დაჰკრავს და მუქარის ტონით აგრძელებს)— **კ ლ-მ-ნ ო— პ, ჟ. რ, ს, ტ.**

მისი პარტიის წევრები უკლებლივ ყველა ფეხზე წამოიჭრებიან და მქუხარე ტაშისცემაში გაისმის მათი შეძახილები: „მაშ, რა ეგონათ!“, „სწორია“, „ფისიმც დასხმიათ!“. ისმის სიმღერა :„აღვმართოთ დროშა სამფეროვანი, გავცეთ პასუხი მტერს ჯეროვანი“.

**ნოე I** (ხელით ანიშნებს თავისიანებს, დაშოშმინდითო და ახლა უკვე შეწუხებული ამბობს): **უ, ფ** (ტაში, ორატორი იწყებს ჩამოთვლას) — **ქ ღ ყ?** (ტაშით აწყვეტინებენ. ხანგრძლივი მქუხარე ტაში), ნოე პირველი როლში შედის უკვე თითქმის ყვირილით პირზე ქაფმომდგარი, მაღლა შემართული მუშტით კითხულობს) **შ ჩ ც?** (და უცებ) **ძ წ ჭ ხ ჯ** (ხანგრძლივი მქუხარე აპლოდისმენტები — „ცოცხლად დარჩენილნი ჩვენს მხარეს იქნებიან“, „მოგვიანებით დახოცილებიდანაც არ იქნება ურიგო მომხრეების ამორჩევა“, „ურა, ვაშა, მრავალჟამიერ“. ამასობაში ტრიბუნაზე მდგარი ორატორი გრაფინიდან დაისხამს წყალს, გადაჰკრავს და როგორც კი პაუზა ჩამოდგება, ფოლადგარეული ხმით დაასრულებს) **ჰ** (ოვაცია. დარბაზი წამოიშლება. ყველა, ოპოზიციის გარდა, უკრავს ტაშს და ბღავის ჰიპ, ჰიპ, ურა. ორატორი ტრიბუნიდან ჩამოდის ,მასთან მიიჭრებიან, ხელში აიტაცებენ და ისე მიიყვანენ სავარძელთან).

**ნოე VII: ბატონებო, მე, როგორც პარლამენტის სხდომაზე თავმჯდომარეს ,მევალება სიწყნარისაკენ მოგიწოდოთ, მაგრამ როგორ უნდა ჩავიდინო ეს, როდესაც თავად მზად ვარ, ხმა შევუერთო თქვენს ყიჟინს. გაოგნებული და აღფრთოვანებული ვარ ჩვენი პატივცემული და საყვარელი ბელადის გამოსვლით. ასეთი საპარლამენტო სიტყვა არა თუ მშობლიურ, არამედ ალბათ მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის პარლამენტს არ მოსწრებია** (ტაში,) **ეს სიტყვა არის ჩვენი ცხოვრების ანი და ჰოე. მასში ნათქვამია ყველაფერი, რისი გამოთქმაც კი შეიძლება მშობლიურ ენაზე** (ტაში. უცებ იღებს სერიოზულ სახეს და ხაზგასმული სიმშვიდით აცხადებს) **გადავდივართ კამათზე. სიტყვა ეძლევა შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ ნოე II-ს** (ტაში).

**ნოე II. სიტყვა, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ, ცხოვრების გარდაქმნის აბსოლუტურად ახალი სტრატეგიისა და ტაქტიკის ნიმუშია და ამავე დროს რა გვითხრეს ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცოდით. თითქოს არაფერი, მაგრამ როგორი კლასიკური, ნოე პირველისათვის ჩვეული გენიალური სიცხადით არის ჩამოყალიბებული ეს სიტყვა. ერთი ზედმეტი ასოც კი არ ყოფილა ნათქვამი. და მაინც, თუკი ჩვენ ეს ყველაფერი ვიცოდით, რატომ არ ვთქვით აქამდე. არ გვყოფნიდა გამბედაობა და პოლიტიკური გამოცდილება. ბატონი ნოე ამ თვალსაზრისით გამორჩეული ფიგურაა** (ტაში).

**ახლა საქმეზე... ბატონმა ნოემ თავის სიტყვაში ბრძანა „ყველა მერცხალს აქვს ქვეყანა, სადაც გაზაფხული უნდა მიიყვანოსო“, ჩემი დღევანდელი გამოსვლაც მერცხლებს ეძღვნება.**

**როგორც სტატისტიკურმა სამმართველომ ჩვენი თხოვნის საპასუხოდ გვაცნობა — წლევანდელი გაზაფხული სამშობლოს მოუყვანია 812.643 მერცხალს. ეს ბუნებრივიც იყო, მერცხლებმა გაიგეს, რომ ჩვენ შევძელით ქვეყანაში ჭეშმარიტად დემოკრატიული რეჟიმის დამყარება. მაგრამ ამჟამად ვითარება გართულდა — მერცხლები ნელ-ნელა ტოვებენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას** (დარბაზს გაკვირვების ტალღამ გადაუარა).

**აი, ამ მოვლენის სამწუხარო სტატისტიკაც; ჩვენი სამშობლოდან გაფრინდნენ:**

**აგვისტოს მეორე ნახევარში — 409.355 მერცხალი.**

**სექტემბერში — 672.481 მერცხალი.**

**ოქტომბრის დასაწყისში — 363.197 მერცხალი.**

**ესე იგი 1.445.033 მერცხალი** (დარბაზში გაკვირვებაა). **დიახ,**

ბატონებო, 812.643 მერცხალმა, რომლებიც გაზაფხულზე მოფრინდნენ, თან წაიყვანეს მათი აგიტაციის გავლენის ქვეშ მოხვედრილი კიდევ 632.390 არასრულწლოვანი მერცხალი. ოქტომბრის მეორე ნახევრის მონაცემები ჯერ არ მიგვიღია. რას იფიქრებს ჩვენზე ევროპა?! მართალია ჩვენ საზღვრები საიმედოდ გვაქვს ჩარაზული. ისე რომ ჩიტი ვერ გაფრინდება. მაგრამ მერცხლები? როგორ უნდა დავარწმუნოთ ჩვენ ერთა ლიგა, რომ მერცხლები რეჟიმისადმი პროტესტის ნიშნად არ ტოვებენ ქვეყნის ტერიტორიას. აქ, რა თქმა უნდა, უცხოეთის დაზვერვის ხელი ურევია, მაგრამ ისიც გულწრფელად უნდა გახვაცხადო, რომ არც ჩვენი ოპოზიცია აკლებს ხელს მტრულ პროპაგანდას (დარბაზში გამოცოცხლებაა. ოპოზიციის წარმომადგენლები ისევ უხმოდ ყვირიან. აკვარიუმის კედლებს მიაკრავენ წარწერას — ფაქტები?)

ფაქტები გნებავთ? აი ისინიც — ამ სამიოდე დღის წინ გახლდით რესტორან „ორიანტში“ ორ ქალბატონთან ერთად.

ნოე VII: გვარების დასახელება საჭირო არ არის.

ნოე II: გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ მათი, როგორც მოწმეების ჩვენება უკვე ინახება ჩემს სეიფში და აი, ჩემი ყურით მოვისმინე, თუ ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები, მათ შორის კი პარლამენტის ორი დეპუტატი...

ნოე VII: დაასახელეთ გვარები!

ნოე II: გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ მათი ფოტოები და სიმღერის ჩანაწერი უკვე ინახება ჩემს სეიფში. დიახ, ოპოზიციონერები, მათ შორის პარლამენტის ორი დეპუტატი მღეროდა პროვოკაციულ სიმღერას — „გაფრინდი, შავო მერცხალო“, რის შედეგადაც რესტორნის ფანჯარასთან მცხოვრებმა მერცხალმა დასტოვა ბუდე და ემიგრაციაში წავიდა.

**შეძახილები დარბაზში:** „ეს ღალატია“, „პროვოკატორთა ფეხქვეშ მინა უნდა ინვოდეს“, „ვის რად უნდა უმერცხალო სამშობლო“, „ოპოზიცია სამშობლოს მტერია“ „რას უყურებს ბუნების დაცვის საზოგადოება“, „ვაი სირცხვილო, სადამდე დავედით“, „რომელ ქვეყანაში წავიდნენ მერცხლები?“

ნოე VII: წინადადება შემომაქვს, შეიქმნას საგანგებო კომისია მერცხლების გადაფრენის მიზეზების გამოსარკვევად და ოპოზიციის ანტისამშობლოებრივი საქმიანობის დასადგენად. ვინ არის მომხრე? ყველა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ! თავი არავის შეუკავებია. წინადადება გავიდა. ვაგრძელებთ კამათს. სიტყვა ეძლევა საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ნოე III-ს.

ნოე III: ბატონებო, მთელი ცივილიზებული მსოფლიო ელოდება ჩვენს საბოლოო სიტყვას, ჩვენი პოზიციის საბოლოო გარკვევას ამ სამი დღის წინ აფრიკის სამხრეთ ნაწილში მომხდარი სამხედრო კონფლიქტის მიმართ და ჩვენს პასუხს ამჟამად ბატონი ნოე პირველის ისტორიული სიტყვის შემდეგ, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენი პატარა ქვეყანა დემოკრატიის დიდი ბურჯია (ტაში). ბატონმა ნოემ პირველმა თავის ისტორიულ სიტყვაში ასეთი ფრთიანი გამოთქმა იხმარა: „თანამედროვე დემოკრატიისათვის მკვდარი იმპერიებიცა აღარ არიან საშიშნიო“ (ტაში). ამ სიტყვების ჭეშმარიტებას ჩვენ სამხრეთ აფრიკაში მომხდარი ამბებიც გვიდასტურებენ. თქვენ უკვე იცით, რომ სამხრეთ აფრიკაში ინგლისელთა და ბურთა გაერთიანებულ 115.000 არმიას თავს დაესხა ზულუსთა რაზმი, რამაც ამ რაიონში შეწყვეტილი საომარი მოქმედების განახლება გამოიწვია. ამ ოცდახუთი წლის წინ სამხრეთ აფრიკაში ინგლისელებსა და ბურებს შორის მიმდინარე ომის მიმართ ჩვენი მთავრობის დღევანდელმა მეთაურმა გარკვეული და მტკიცე პოზიცია დაიჭირა, მაშინ იგი ამბობდა: ბურები და ინგლისელები ერთმანეთს ებრძვიან და ჩვენ ვალდებული ვართ, გავარკვიოთ ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი. ვისთვის არის ეს ომი სამართლიანი და ჭეშმარიტი და მისი მხარი უნდა დავიკავოთო და მან მართლაც განსაცვიფრებელი სიცხადე შეიტანა ამ საკითხში. იგი წერდა: „მარა სიმპათია ბურებისადმი სრულებით არ მოითხოვს სიძულვილს ინგლისელთადმი. ბურებს თანაუგრძნობთ იმიტომ რომ ეს პატარა ერია და თავის სამშობლოს, თავის თავისუფლებას იცავს. ინგლისი? ინგლისი სასიყვარულო და სათანაგრძნობია მრავალნაირად. ინგლისი ეს აკვანია ყოველივე იმისა, რითაც დღეს თავი მოაქვს განათლებულ კაცობრიობას“. ეს არის ცივილიზაცია და დემოკრატია (ტაში).

აი, ბატონებო, ასეთივე უეჭველი და არაორჭოფული პოზიციის დაკავება გვმართებს ჩვენ ამ ახალი კონფლიქტის მიმართ. ადრე თუ ინგლისი ცდილობდა სამხრეთ აფრიკაში ცივილიზაციის შეტანას, ხოლო ბურები თავის სამშობლოს იცავდნენ და ორივე სიმპათიის ღირსი იყო, ახლა სიტუაცია შეიცვალა. ბურები და ინგლისელები გაერთიანდნენ და ახლა ერთობლივად იცავენ სამშობლოსა და ცივილიზაციას ზულუსებისაგან.

ჩვენ მხარს ვუჭერთ და თანავუგრძნობთ სამხრეთ აფრიკელი აბორიგენების ზულუსებს, როდესაც ისინი ინგლისურ სკოლებში სწავლას მოითხოვენ და ამითი ცივილიზაციასთან ზიარებს და ვკიცხავთ ინგლისელს, ვინც ძალას ატანს ზულუსებს, რომ მათ მშობლიურ ენაზე აიძულებენ სწავლას; მეორეს მხრივ, ჩვენ ვკიცხავთ ზულუსებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ინგლისელებს, რომლებიც მათ თავისუფლებას ართმევენ და მხარს ვუჭერთ და თანავუგრძნობთ ინგლისს, რომელიც განვითარების პირველყოფილ თემური საზოგადოების საფეხურზე მდგომი ზულუსების საზოგადოებას განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, მონათმფლობელობაზე გადაყვანას ცდილობს და ამდენად შეჰყავს ცივილიზაციის სისტემაში. მოვა დრო და ზულუსები ინგლისელთა წყალობით გაივლიან ფეოდალურ წყობილებას და ასე შემდეგ, და ასე მოვლენ ჩვენამდეც.

ასეთია ჩვენი მთავრობის პრინციპული პოზიცია ამ საკითხში.

მქუხარე ტაში

ოპოზიცია აკვარიუმში ბობოქრობს. ისინი მინის კედელზე აკრავენ ლოზუნგებს: „ნოე III მტრების აგენტია“, „ნოე მესამე მტრებისგან იღებს ქრთამს“, „ჩვენ პასუხს მოვითხოვთ“.

ნოე VII: ბატონო ნოე მესამე, ოპოზიცია თქვენ ბრალს დებთ მექრთამეობასა და სამშობლოს ღალატში. იმედია, თქვენ შესძლებთ საკადრისი პასუხი გასცეთ ცილისმწამებლებს (ტაში).

ნოე III: ცხადია, ბატონებო, მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ქვეყანა ამჟამად საომარ მდგომარეობაში იმყოფება სამხრეთელ მეზობელთან. მე როგორც სამშობლოს დიპლომატიის მეთაურს ძალ-ღონე არ დამიშურებია, თავი არ დამიზოგავს, რომ ძმათამჟღლეტი ომი სამშობლოსათვის ამეშორებინა, მაგრამ თქვენ იცით, აქედან არაფერი გამოვიდა, ამიტომ ჩვენი ამოცანა გახდა, რაც შეიძლება მოკლე დროში მოგვეგო ომი, რათა გაპარტახება აგვეცილებინა, როგორც ჩვენი, ასევე მეზობელი ქვეყნისათვის, რომელიც მართალია ახლა გვეომება თავისი ნაციონალისტური მთავრობის გამო, მაგრამ როგორც კი იქ გაიმარჯვებს დემოკრატიული წყობილება, ის ისევ ჩვენს ერთგულ მეზობლად გადაიქცევა.

ოპოზიცია მინაზე მუშტებს აბრახუნებს.

ნოე III: ჩვენი სახელოვანი არმია მტრის ქალაქებს ზედიზედ იღებს (ტაში), მაგრამ მეზობელი ქვეყანა მდიდარია და თუ მის ეკონომიკას ჩვენ ლახვარი არ ჩავეცით, ომი უსაშველოდ გაგრძელდება (დარბაზში ტაში, შეძახილები „სწორია“). საკითხი ოპოზიციის მიერ ასეა დაყენებული — ვიღებ თუ არა მე ქრთამს ჩვენთან მეომარი ქვეყნისაგან? დიახ, ვიღებ (დარბაზს ენა ჩაუვარდება). ნიშნავს თუ არა ეს, რომ მე სამშობლოს მოღალატე ვარ. არ ნიშნავს. ოპოზიციას გაუგია, რომ მე ქრთამს ვიღებ, მაგრამ თუ იციან ოპოზიციონერებმა, რამდენს ვიღებ — დღეში მილიონ მანეთს ოქროთი. ათი დღეა მიდის ომი — ესე იგი მე ამ დროის განმავლობაში ამიღია ათი მილიონი მანეთი ოქროთი. განა ეს მომაკვდინებელი დარტყმა არ არის მეზობელი ქვეყნის ომით შერყეული ეკონომიკისათვის, კიდევ ათი ასეთი დღე და მენდეთ, ჩვენი მეზობლების ეკონომიკა ნელში ვეღარ გაიმართება (ოვაცია, შეძახილები: „ბრავო“, „მივანიჭოთ ნოე III-ს ეროვნული გმირის ორდენი“)

ნოე VII: ინციდენტი ამონურულია, ბატონო ნოე III! მინდა იცოდეთ ,რომ არც ერთ თქვენს პარტიულ კოლეგას წამითაც არ შეპარვია ეჭვი თქვენს კეთილსინდისიერებაში და თუ თქვენგან ასე დაბეჯითებით მოვითხოვდით პასუხს, მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ დავმტკიცებულიყავით თქვენი ოქროპირობით (ტაში), ახლა კი სიტყვას მინათმოქმედებისა და კულტურის მინისტრს ბატონ ნოე IV-ს გადავცემთ.

ნოე IV: ბატონებო, თავის სიტყვაში ბატონმა ნოე პირველმა ბრძანა: „ომსაც თავისი კულტურა აქვსო“. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ თუ ჩემი დღევანდელი გამოსვლა კულტურას ეხება ომის პერიოდში.

ერთმა უკაცრავად პასუხის ჟურნალისტმა (გვარი დამავიწყდა) ოპოზიციური გაზეთიდან ამა წლის 3 მაისს გაზეთის მეორე გვერდზე დაბეჭდა ფელეტონი, სადაც მან თავს უფლება მისცა ასეთი თავხედური განცხადება გაეკეთებინა — „იმაზე უფრო მეტი ცირკი რა უნდა იყოს, რომ სამშობლოს პარლამენტის გაცხოველებული სხდომები ცირკში ტარდებაო“. ამითი ჟურნალისტს (გვარი დამავიწყდა) უნდოდა ეთქვა, რა მთავრობაა ის მთავრობა პარლამენტის შენობას რომ ვერ ააშენებსო.

ამის პასუხად ჩვენ დავუკავშირდით უდიდეს მშობლიურ არქიტექტორს (გვარი დამავიწყდა), 58 წლის, სიმაღლე 188 სანტიმეტრი, წონა — 82 კილოგრამი, ცხოვრობს ფრანგი უტოპისტის (გვარი დამავიწყდა) სახელობის ქუჩაზე 49-ე სახლში, მეორე სართული, ბინა 27, ტელეფონი 3.69.14 და შევუკვეთეთ პარლამენტის შენობის პროექტი, რომელიც მან ხუსტად სამი თვისა და 17 დღის შემდეგ ჩაგვაბარა. პროექტი მონონებულ იქნა კულტურის სამინისტროს მიერ (ოქმი № 987 ამა წლის 9 ოქტომბერს). — მინისტრი მე ვარ. პარლამენტის შენობის ასაგებად გამოიყო ტერიტორია მინათმოქმედების მინისტრის ბრძანებით (ბრძანება № 891) მინისტრი მე ვარ. დღეს ეს პროექტი განსახილველად გამოგვაქვს პარლამენტის სხდომაზე. შემოიტანეთ პროექტი (რამდენიმე კაცი შემოაგორებს რაღაც უზარმაზარ მაკეტს, რომელიც ტილოთია დაფარული). პარლამენტის ახალი შენობის ტერიტორიისათვის შევარჩიეთ ქალაქის ცენტრში აღმართული მთა (სახელი დამავიწყდა), რომელიც ზღვის დონიდან 770 მეტრია. პარლამენტის შენობისათვის საჭირო მოედნის მისაღებად მოგვიხდება ამ მთის გადაჭრა. 750 მეტრის სიმაღლეზე იქ დაიდგმება ეს უნიკალური პროექტი, რომელსაც თქვენ გაგაცნობთ ჩვენი სახელოვანი არქიტექტორი (გვარი დამავიწყდა). გთხოვთ!

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ნატო ამირეჯიბისა



— როგორც ღორებს, ისე კი ნუ გვექცევი. ცოტა უკეთესი ამოგვირჩიე!

# „ნიანგს" უპასუხებენ

**თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება:**

„თქვენი ჟურნალის 1989 წლის მე-6 ნომერში გამოქვეყნებულ ფელეტონთან „მ ე ქ ო თ ნ ე ე ბ ი" დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საბურთალოსა და ორჯონიკიძის რაიონების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებში მოქ. ნ. ბაქრაძის და მოქ. ო. ფირცხალავასათვის ასაკის პენსიის დანიშვნის გაჭიანურება დადასტურდა.

სოცუზრუნველყოფის საქალაქო განყოფილებასთან არსებულმა შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის კომისიამ განიხილა „ნიანგში" გამოქვეყნებული მასალა და მუშაობაში დაშვებული უყურადღებობისათვის ორჯონიკიძის რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგეს ა. ოკინაშვილს და ზ/ინსპექტორს მ. ჯანელიძეს, საბურთალოს რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილების უფროს ინსპექტორს თ. ბენდელიანს და ზ/ინსპექტორს თ. რაზმაძეს გამოეცხადათ საყვედური, მკაცრად იქნა გაფრთხილებული ამავე განყოფილების გამგე ბ. მეგრელიშვილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ასაკის პენსიის დანიშვნის გაჭიანურება განაპირობა ამ მოქალაქეთა სამუშაო დაწესებულებების ადმინისტრაციისა და საპენსიო საქმეთა წარმომადგენლების არასრულფასოვანმა საქმიანობამაც".

**სახალხო დეპუტატების თიანეთის რაისაბჭოს აღმასკომი:**

„ნიანგის" 1989 წლის მე-6 ნომერში გამოქვეყნებული ფელეტონის „რა ჭკუით, რა ხერხით მუშაობს სახერხი?" პასუხად გაცნობებთ, რომ რაისაბჭოს აღმასკომის მითითებით სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის წარმომადგენლის მონაწილეობით ფელეტონში მოყვანილი ფაქტები განხილულ იქნა ორხევის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე, კრებამ დაგმო მეურნეობის სახერხი ქარხნის უფროსის დ. ხუცურაულის უმსგავსო მოქმედება და მიიღო გადაწყვეტილება ქარხნის უფროსის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ, რაც გაფორმდა ორხევის საბჭოთა მეურნეობის დირექციის 1989 წლის 15 მაისის №82 ბრძანებით.

დაისახა სათანადო ღონისძიებანი სახერხი ქარხნის ნორმალური ფუნქციონირებისათვის".

**ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილება:**

„ნიანგის" 1989 წლის მე-2 ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი „არავითარი აჩქარება!" განხილული იქნა ამიერკავკასიის რკინიგზის განყოფილებაში და დამუშავდა მატარებელთა მოძრაობის სადისპეტჩერო აპარატთან. კრიტიკა მიჩნეულია სამართლიანად და მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სახალხო მატარებელთა გარკვეული ნაწილის გრაფიკის დარღვევა გამოწვეულია ძირითადად ლიანდაგის კაპიტალური შეკეთების არადროული ჩატარებით, რელსებისა და სხვა შემადგენელი ნაწილების უქონლობით.

ამჟამად ამ მიმართულებით განყოფილებაში გარკვეული ძვრებით დაწყებულია მატარებელთა მოძრაობის ახალი გრაფიკის შედგენა, რაც ითვალისწინებს მატარებელთა ტარების პროგრესულ მეთოდებს. მიმდინარეობს ლიანდაგების შეკეთება უკეთესი ტემპით.

განყოფილების ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ გატარებული ღონისძიებები საშუალებას მოგვცემს დავიცვათ მატარებელთა მოძრაობის გრაფიკი და ავამაღლოთ მგზავრთა კულტურული მომსახურების დონე".

გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი

## გაქცევა ბრძოლის ველიდან

„გავრბივარ, რათა
კიდევ ბევრჯერ ვიომო მერმისს!“—
თქვა გაქცევისას
მამაცთაგან უმამაცესმა.
ნამდვილი აზრი
ამ ქადილის მე ასე მესმის:
გავრბივარ, რათა
კიდევ ბევრჯერ შევძლო... ათესვა!.

## მოტყუებული

— ყრუ გამოდგა შენი ცოლი?
მოგატყუეს განა, ბრიყვო?
— ყრუ რომ იყო, კი ვიცოდი,
მე მეგონა, მუნჯიც იყო!

## ავი ქალი

მთელ საქალეთში, სულ დიდი-დიდი,
ერთი აღმოჩნდეს ავი და ფლიდი,
მაგრამ ყველა ქმარს ეუფლება
გრძნობა ისეთი,
თითქოს მას ერგო სწორედ ის ერთი.

## მდიდარი შინაბერა

ამ შინაბერას,
მთელ ქალაქში ყველაზე მდიდარს,
ქმრად უნდიხარო,
მესმის მისი გაცნობის დღიდან.
რას აღარ სჩადის,
რომ თანხმობა ჩემგან მიიღოს!.
მაგრამ ასაკი?!.
აფსუს, უფრო ხნიერი იყოს!..

## ქურდს

თავს ნუ ჩაიგდებ, ქურდო, ცუდ დღეში,
არ დაემგვანო, ძველო, არიფებს;
მაგ ბნელი სახლის ყოველ კუთხეში
ერთგულ დარაჯად დგას სილარიბე!

## ელიტა

ის ემართება სასწორსაც,
რაც ჩვენს ელიტას სჭირს:
მსუბუქი მაღლა მიიწევს,
მძიმე ეშვება ძირს.

## ერთ კალმოსანს

მახარებს ძლიერ — პოეტი ხარ,
ლექსებს თხზავ უხვად!
სხვა რა ხარ კიდევ? არაფერი?
ძალიან ვწუხვარ!

## მავანს

პირს უკან მთათხავ? მერე რა!
მაგით ჩემს პრესტიჟს განა ვნებ!
პირში რომ მაქებ, ამას კი
სამაგალითოდ განანებ!

## თავსატეხი

რატომ ხდება ნეტავ ასე
(ვინ გაარკვევს?! როდის?!),
რომ ყველაზე მეტი ფული
მდიდრების წილ მოდის!

## გამოთხოვება მკითხველთან

თუკი ეს წიგნი არ მოგეწონოს
და მიმათვალო ცნობილ ავყიებს,
იმისთვის მაინც მითხარ მადლობა,
რაც დავწერე და მერმე დავხიე!

გერმანულიდან თარგმნა
ლევან ბრეგაძემ

**სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 15 (1793) აგვისტო. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.**

**მთავარი რედაქტორი**
**ზაურ ბოლქვაძე**

სარედაქციო კოლეგია:

**ავთანდილ ადეიშვილი** (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი). **ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
**ირაკლი დუნდუა**

გადაეცა ასაწყობად 03. 07. 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 08. 89 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. № 1605 ეე 08388. ტირაჟი 130100. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.**

**ტელეფონები:** მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

**Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.**

**ფასი 20 კაპ.**

**ინდექსი 76137**

89-497

# ცხოვრების ჭეშმარიტებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბრძენთა თქვეს: შეიცან თავი შენი!**

მას შემდეგ, ვინ მოთვლის რამდენი ადამიანი იქექებოდა და იქექება თავდავიწყებით არა თავისი, არამედ სხვათა სულისა და გულის უშორეს კუნჭულებში.

**თუ გსურს იყო ღონიერი, — ირბინე; თუ გსურს იყო ლამაზი, —ირბინე; თუ გსურს იყო გონიერი, — ირბინე!**

გვსურს, როგორ არ გვსურს, მაგრამ რა სახის ტრანსპორტს არ ვიყენებთ, რომ სახლამდე ნაბიჯის გადაუდგმელად მივალწიოთ და ბინაში, მეორე თუ მესამე სართულზე, ლიფტით ავიდეთ!

**ქვეყანაზე სამი დიდი მკურნალია: მზე, ჰაერი და წყალი.**

მზეს ცათამბჯენები, მტვერი და კვამლი ავაფარეთ, ჰაერი ძრავების მავნე გამონაბოლქვით გავაჭუჭყიანეთ, ხოლო წყალი ბევრგან ქიმიური ჩანადენებით ისეა გაბინძურებული, მდინარეებში თევზებიც კი იხრჩობიან!..

**ხმაური კაცობრიობის მტერია.**

ჩვენ კი ძრავათა გუგუნს არ ვჯერდებით და ხშირად ვუსმენთ ისეთ ჯაზ-ბანდსა თუ სხვა მუსიკალურ კოლექტივს, რომლებიც მთელი ძალით აღრიალებენ ორკესტრს და აზანზარებენ დარბაზს, ზოგჯერ თვითონაც ჭარბად ვხმაურობთ.

**უსაქმურობაზე აუტანელი არაფერია.**

და მაინც ზოგ-ზოგი არამცთუ იტანს, სიამოვნებითაც ეტანება მას.

**შრომამ შექმნა ადამიანი... შრომა ბედნიერების წყაროა.**

ასეა ეს. მაგრამ ცოტა როდი ცდილობს თავი აარიდოს თავის შემქმნელს; თანაც ჰგონია, რომ ამით ადამიანობასაც შეინარჩუნებს და ბედნიერებასაც ეწევა.

**შეგნებული გქონდეს შენი მოვალეობა და არ შეასრულო, — ეს ლაჩრობაა.**

იმდენი სიკეთე მე (და თქვენც), რამდენიც ამას უკუღმა ფიქრობს და აკეთებს.

**ძნელია და სულაც არ არის საჭირო ვაკეთოთ ის, რის უნარიც არა გვაქვს.**

ჩვენთვისაც და საქმისთვისაც რამდენად კარგი იქნება, ყველა რომ საკუთარი ინიციატივით ვასრულებდეთ ამ შეგონებას.

**ფული ხელის ჭუჭყია.**

განა ცოტაა ქვეყნიერებაზე, ვინც ამ ჭუჭყს ათასი მაქინაციით აგროვებს, რათა შიგ აყროლდეს და ჩაიხრჩოს?!

**ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა.**

**დღედ სიკვდილამდის სიხარბე შეაქნევს კბილთა ღრჭენასა.**

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, და მაინც არ გამოილია ოქრო-ვერცხლისა და ბროლის მოყვასები, არც მათ სიხარბესა და კბილთა ღრჭენას დაედო ზღვარი საბოლოოდ.

**მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს.**

მართლაც, დუნიაზე რამდენი ჭკუათმყოფელი სპირტიანი სასმელებით კუჭს ითუთქავს, თამბაქოს კვამლით ფილტვებს იჭვარტლავს და გულს იზიანებს, ნარკოტიკებით ტვინს ილაყებს, ისიც თავისი ნებით.

**მშვიდი ძილისათვის საჭიროა დაწოლამდე ერთი ან ნახევარი საათით სუფთა ჰაერზე გასეირნება.**

ჩვენ კი ამ დროს სკამზე დაკოსებული ვართ ტელევიზორთან და ჩაყვინთვამდე ვუყურებთ რომელიმე მრავალსერიიან ფილმს შემდეგ კი გვიკვირს რატომ გვაქვს ძილი და ღვიძილი შფოთიანი.

**რაცა არ გნადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ ნადილთა ნებასა!**

სულწასულები, ქვენა გრძნობებსა და მდაბალ ზრახვებს აყოლილნი არაერთხელ დარწმუნებულან ამ ქველი თავდაჭერილობის მღაღადებელი შეგონების სიკეთეში, მაგრამ განა ბევრმა ილო იგი ყურად?!

**პატიოსნებას გაუფრთხილდი სიჭაბუკიდან!**

რამდენი ხანდაზმული იხსენებს ხოლმე მწარე სინანულით სიყვაწვილეში ერთი ყურიდან შეშვებულ და მეორიდან გამოშვებულ ამ ძვირფას შეგონებას!

**სიყვარული აგვამაღლებს...**

ჭეშმარიტად! მაგრამ თავისი სიბრიყვით რამდენი ახურდავებს ამ წმინდა გრძნობას, რის შედეგადაც ამაღლებას კი არა, დაცემას იმკის.

**რასაც შენს მშობლებს გაუკეთებ, იმასვე ელოდე შენი შვილებისაგან!**

ამის შეხსენება სულაც არ აწყენდა ზოგიერთ ახალგაზრდას.

ვიცით, განა არ ვიცით ყველამ ბრძენთა მიერ დიდი გამოცდილებით დადგენილი ზემოჩამოთვლილი და მრავალი სხვა მსგავსი სასარგებლო შეგონება, მაგრამ, რუსთაველის თქმისა არ იყოს, **არას გვარგებს სწავლულება, თუ არა ვიქმთ ბრძენთა თქმულსა!** ბევრს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ეთაკილება ხოლმე სხვას გაუგონოს. რუსთაველმა კი ბრძანა: **სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარიო.**

ჭკუის დარიგებასაც ყველა როდი იტანს. ამის თაობაზე დიდი რუსთაველი შენიშნავს: **გონიერთა მწვრთნელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს.**

ცხადია, არავისთვის **არავითარი ადამიანური უცხო არ არის** და შეუძლებელს არავინ გვთხოვს, მაგრამ არავინ უნდა მოიქცეს ისე, რომ სიმართლის თქმისა ეშინოდეს ან ერიდებოდეს და იცრუოს, **რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა**, როგორც თავის დროზე ზუსტად განსაზღვრა ბრძენმა რუსთაველმა.

სასაცილოც არის და საწუხარიც, რომ საუკუნეებით დაგროვილი სიბრძნის ულევი საგანძური გვქონდეს და უაზრო ამპარტავნობის გამო სრულად არ ვისარგებლოთ ამ სიმდიდრით ჩვენდა საზიანოდ; ვიცოდეთ, როგორ სჯობს მოვიქცეთ, შეგვეძლოს და არ გავაკეთოთ!

ის კი არა, სამყაროში თვალსაწიერზე ერთადერთ უნიკალურ პლანეტას, სადაც სიცოცხლე განვითარდა და გონიერი არსება ცხოვრობს, ე. ი. ჩვენს საერთო სახლს — დედამიწას, სასიკვდილო საფრთხე შეექმნა: კაცობრიობამ უდიდესი სახსრები გაიღო და იმდენი ბირთვული, თერმობირთვული, ნეიტრონული თუ სხვა სახის ბომბები დააგროვა, რომ მათი აფეთქებით თავისუფლად შეუძლია საკუთარი თავი ათეულჯერ მოსპოს, ხოლო დედამიწა რამდენჯერმე მიწასთან გაასწოროს... უკაცრავად, კოსმოსურ მტვრად აქციოს!..

ვისთვის? რისთვის? რად არ მოვუხმოთ დედამიწაზე ადამიანის მაღალ სულსა და ბუნების განვითარების გვირგვინის — გონების მთელ სიბრძნეს? ეს ხომ უკვე თითოეული ჩვენგანისა და ყველას საერთო საქმეა და სულაც არ არის სახუმარო ამბავი!

**აპოლონ ბასილაია**

უსიტყვოდ

ნახ. ვ. ქუციასი

№ 497
24.VIII 1989